

თავისუფალი საქართველო

№21
თავისუფალი საქართველო
6-12 ოქტომბერი
1995 წ.
ფასი
5 თეთრი
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

რედაქტორის სპეჩი

საქართველო, შავ ზღვასა და კავკასიის ქედს შორის არსებული პატარა ქვეყანა, კლდის დაუდგრომელი მდინარესავით ზოტით მოანგრევს ნაპირებს, რომელშიც მისი მოქცევა სურს ძალ-მომრევობით სავსე დროის უღმობლობას. საუკუნეები იდეა ამ ბრძოლაში.

რა აძლებინებს ამ დაუცველ, პატარა, უცნაურ ქვეყანას ისეთ მასშტაბურ კატაკლიზმებში, რომელთა ძალა მსოფლიოს აზანზარებს?

რით მოდის დღემდე, ან რას ელის ქართველი-ანი მომავლისგან?

რისი იმედით ბობოქრობს, გრგინავს, ქნის და ერთგულებს თავის იდეალებს, ზნეობრივ პრინციპებს, ურყევ სიწმინდეებს?

რა ენერჯია უდევს საფუძვლად სიჯიუტეს - მოუხედავად თითქმის გადაუღალავი სიძინელებისა, იცხოვრო ერთადერთი კანონით, რომლის ქვაკუთხედს უპირობო ზნეობრივი იმპერატივი შეადგენს და ელოდო დროს, როცა შენი, მტრისთვისაც მტორფასი გახდება. არსებობის ეს უზენაესი პრინციპი...

აქ ახალი არაფერი ხდება... არასოდეს - არც დღეს, არც გუშინ, არც ხვალ მოხდება. აქ ყოველთვის ერთი და იგივე მისტერია თამაშდება - ბოროტება ებრძვის სიკეთეს. ყველა ეტაზე ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომია, რომლის შედეგმა თვისობრივად უნდა შეცვალოს ძალთა თანაფარდობა და ახალი მიმართულება მისცეს მოვლენათა განვითარებას. საუკუნეების მანძილზე ყველა შეჯახება ერთი და იგივე შედეგით მთავრდება - საქართველო თავიდან იკვიდრებს უფლებას გააგრძელოს ბრძოლა სიკეთის საბოლოო გამარჯვებამდე.

დღიდან თავისი არსებობისა, ჩვენი სამშობლო გამუდმებით დგას არჩევანის წინაშე - იცხოვროს სხვისი კარნახით, თუ თავისი პრინციპების თანახმად. ეს არჩევანი ყველა ჯერზე ახლებურად მტკივნეულია, ყველა ეტაზე ახალი საცდენებელი ბურავს სიმართლის გამჭვირვალე უბრალოებას, ძნელად ამოსაცნობი ჩანს გადარჩენის ერთადერთი გზა, ერთმანეთში ირევა ცოცხალი-მადლი.

საქართველო ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებს. ჩვენ გენეტიკური გამოცდილება გვაქვს სიკეთის მსახურების, ეს არის ჩვენი დაუმორტეული ენერჯიის საიდუმლო არსი - ეს გვიფარავს, ეს გვაძლებინებს, ეს გვანიჭებს უფლებას გადავაბიჯოთ საუკუნეებს... ეს აელვარებს უანკარესი ღვინისურად ჩვენს არსებობას დედამიწაზე.

ჩვენ დღესაც არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს ბოროტი არჩევანია, ერთ-ერთი, აწმყოსა და მომავლის უგრძესი საუკუნეების ჯვარტეში, წინ დიდი გზაა, უკან - დიდი ისტორია. დღეს ჩვენ ვართ ბასუსისმგებელი იმაზე, რომ არ გავწყდეს კავშირი წარსულსა და მომავალს შორის.

ჩვენ კავკასიის თვალუწყვენილი სიმაღლეებიდან ვიღებთ სათავეს, იმ სიმაღლიდან სიკეთისკენ სწრაფვაც უფრო იოლი ჩანს და ჭირის დათმენაც. ჩვენ მომავლის არ გვეშინია.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

THE CHAIRMAN OF THE SUPREME COUNCIL OF THE REPUBLIC OF GEORGIA

სვეტიცხოვლობის მიმართვა ქართველი ერისადმი

ქართველი ერის ნების გამომხატველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი დაიწყო ახალი ერა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პროცესში. ჭეშმარიტად დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ხელისუფლების დამსახურებდა უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად იქნა აღიარებული და იურიდიულად დამოუკიდებელ ქვეყნად გამოჩნდა.

სამწუხაროდ, საქართველო ფაქტობრივად დამოუკიდებელი ვერ გახდა და ხელახალი ოკუპაციის, მცოცავი ანექსიის ობიექტია, ვინაიდან რენეგატ ქართველთა ხელშეწყობით 1991 წლიდან რუსეთის მიერ წამოწყებული შეზღუდული ხასიათის ომი ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურების მიზნით გრძელდება.

ქართველი ერის ბრძოლა ანტიიმპერიული და

უღმობობის წინააღმდეგ ცხადყოფს, რომ ხალხი არასოდეს შეურიგდება რუსეთის მიერ სისხლიანი გადატრიალების შედეგად ხელდასმული საოკუპაციო რეჟიმის ბატონობას, მოჩვენებით დამოუკიდებლობას და საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების საშუალებით დამკვიდრებას.

მივესალმები მოძალადეთა საარჩევნო სექტაკლის ბოიკოტის პოლიტიკას, ვინაიდან პოლიციური რეჟიმის პირობებში, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების არავითარი პერსპექტივა არ არსებობს. შევარდნაძის საარჩევნო მასკარადში მონაწილეობა დალატის ტოლფასია, ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს უკანონო ხელისუფლების ცნობას ყველა იმ უკანონოთი, რომელთაც მოხდა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება და რუსეთის ჯარის განლაგება საქართველოში. უდავოა, ფეთის, ერისა და ქვეყნის მგზობელ ოდიოზურ პიროვნებებს, რომლებმაც ბოლო მოუღეს საქართველოს დამოუკ

იდებლობასა და ქვეყანას ბელორუსული მოდელით უფსკრულსკენ მიაკნებენ, ისეთივე ბოიკოტი უნდა მოეწყობოთ, როგორც კაპიტან ჩარლზ ბოიკოტს მოუწყო ხალხმა.

ქართველი ერის მტრებს, მათ, ვინც ჭეშმარიტად ეროვნული პარლამენტი იარაღით განდევნეს, მაგრამ ვერ დაამარცხეს, მინდა შევახსენო, რომ 1992 წლის 6 იანვრის სამხედრო გადატრიალებით არ შეწყვეტილა საქართველოს ტერიტორიაზე დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს de jure არსებობა.

ნებისმიერი იურიდიული და მორალური კანონის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოდელაქობა გრძელდება მანამ, სანამ უცხო სახელმწიფოს სამხედრო ძალისხმევით განთავისუფლებულ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართველოში არ შეიქმნება თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების პირობები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, კანონის თანახმად, კანონიერია!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მუდამ დარჩება ეროვნული ინტერესების, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების ერთგული! ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ სვეტიცხოვლობა. გახსოვდეთ, როგორც წმინდა ნინოს ლოცვა-კედრების ძალით დაეშინა თავის ხარისხს ცხოველყოფილი სვეტი, ასევე მართლმადიდებლური სიმტკიცითა და რწმენით, ქართველი ერი დაიმკვიდრებს დამოუკიდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე, თავადი ბიძინა ჩოლოყაშვილი
1 ოქტომბერი, 1995

რეალური ალტერნატივა

ლაღ თანხმდებოდე ტრანსკავკასიური სამხედრო მაგისტრალის გაყვანას და ზრუნავდ დავით გარეჯის მონასტერზე. ბოლოს მაინც არჩევანის წინაშე დგები: ან ტანკებით უნდა გადაფარო ხალხს, ან საკუთარ სხეულზე უნდა გადაატარო რკინის მუხლუხობები, საკუთარი კისერი უნდა მიუშვირო ორღელსურ ნიშებს.

დღეს, და არა მხოლოდ დღეს, პატიაშვილი აქ მღელვარე დროის ტრაგიკულ მსხვერპლად გამოცხადდა, თითქმის 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე მან თავისი სიცოცხლე დაკარგა და არა კარიერა. თურმე მას სხვები ათამაშებდნენ, მაგალითად - ფოფახე. საქმეც სწორედ ამაშია, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან ვინმეს კაუჭს გამოეხადონ და სათამაშოები გახდნენ, მაგრამ, როგორც წესი, რეალური მოთამაშე, მმართველი კვლავ მათი მშობლიური სისტემაა.

წინასწარჩევნო ბატალიებმა, ნებისთ თუ უნებლიეთ, გამოკვეთა საქართველოს პოლიტიკური სექტორის არაპდგრალობა, ერთ დროს ეროვნული შეფერილობის მქონე პარტიები ერთმანეთს ეჯობებოდნენ შევარდნაძის განსაკუთრებულ დამსახურებათა აღნიშვნაში, ხოლო კომუნისტები შეუპოვრად უტყვენ თავიანთ ყოფილ მდივანს. ცხადია, კომუნისტების ანტიშევარდნაძიზმს არც იდეოლოგიური საფუძველი გააჩნია და არც რაიმე მყარი პრინციპების ერთგულება. ესაა ინსტინქტუ დამყარებული ჩვეულებრივი ბრძოლა არსებობისთვის, მზის ქვეშ საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად.

ჯერ არ დაბადებულა კომუნისტი, რომელსაც არ გაეყვიდოს თავისი ერი სამარცხვინო კომპრომისის ან სასტიკი ძალადობის გზით: გააჩნია, ვის რა დრო ან როლი ერგება... "პრადის გაზაფხულის" გმირი ღუმეკი - ეს ჩვენი ბავშვობის ილუსიაა. ვინ ვინ და ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნამდვილი პრეზიდენტები, ნამდვილი ერის შვილები ციფილიზებულ დასავლეთში მოკალათებულნი არ ელან "იმპერიის გაზაფხულს", არამედ იბრძვიან განდევნილიც, ბრუნდებიან ყველაფრის მიუხედავად და ეწირებიან თავისი ხალხის სანაცვლოდ.

ამის მაგიერ ჩვენ გვისახავენ ცრულტერნატოვას - ტირანი თუ... მეორე ტირანი. ჩვენ გვაყენებენ დილემის წინაშე - ვინ სჯობია: გამყიდველი ოულა, მომსყიდველი კაიაფა, თუ პილატე, რომელიც ქველავერზე ხელს იბანს. ჩვენ კი გვიჩნება კლავკერთა ბრძოლს, რომელიც რამდენიმე გროშისა თუ ლარის საფასურად თავგამოცებით გაპყვირის - "ჯვარს აცუ ეგე!"

ამდენად, დემოკრატია მზადაა, როლები წინასწარაა განაწილებული და ჩვენს გარშემო კვლავ იკრება წრე, რომლიდანაც მხოლოდ ერთი პატროსანი გზა არსებობს - ამ სექტაკლში მონაწილეობაზე უარის თქმა, თუნდაც ამისთვის წინ ჯვარცმა გველოდეს.

ანა ჭავჭავაძე

გპითხვებლთა საყურადღებოდ:
წინასწარჩევნო პერიოდში გაზეთი «თავისუფალი საქართველო» გაიყიდება ფასდაკლებით

მ ი მ ე რ თ ე ა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სახელმწიფო უწყებებს

პატივცემულო კოლეგებო! პირველყოფილსა, მოგახსენებთ, რომ ორი წელია, რაც სამშობლოში არ ვყოფილარ და ამიტომ, შეიძლება, ყოველთვის სწორად ვერ გავასებდ რეალობას. ამასთან, კანდიდებდ ვთვლი შორეთიდან შეგონებებს. მაგრამ ისიც მხედველობაში მისაღები, რომ ზემოაღნიშნული უზენაესი სახელმწიფო უწყებების შეფასებაზე პირდაპირ ზეგავლენას არ უნდა ახდენდნენ.

ნება მიბოძეთ, გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში გაბატონებული უკანონო რეჟიმის მიერ დანიშნული არჩევნების თაობაზე. პირველი რიგში შეგვიხსენიებთ ამ არჩევნებში ჩვენი მონაწილეობის დაუშვებლობას ფორმალური თვალსაზრისით.

დევნილობაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ არაერთი სხდომა ჩაატარა, რომლებზეც სამართლებრივი შეფასება მიეცა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. აგრეთვე, გამოიხატა უზენაესი საბჭოს დამოკიდებულება მათ მიმართ. კერძოდ, საკმარისი მკაფიოდ ჩამოყალიბდა უზენაესი საბჭოს მიმართება საქართველოში რუსეთის მართლმართული რეჟიმის მიერ მოწოდებული არჩევნებისადმი. უზენაესი საბჭო უკანონოდ მიიჩნევს მათ და მოუწოდებს ქართველ ხალხს, არ მიიღოს ამ არჩევნებში მონაწილეობა.

თუკი უზენაესი საბჭოს რომელიმე წევრი არ თვლის საჭიროდ დემორჩილდეს ამ პრინციპულ გადაწყვეტილებებს, ვფიქრობ, წესიერად მოითხოვს, რომ მან მოიხსნას სადებუტო უფლებამოსილება. არსებულ ვითარებაში საუკეთესოდ მოსწონს ამგვარი გადაწყვეტილების საჯაროდ განცხადება. ამასთან, ასეთი ქმედება შეესატყვისება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის კანონის მოთხოვნებსაც.

ახლა შევცდები შემოგთავაზოთ ვითარების შეფასება პრაქტიკული, პრაგმატული თვალსაზრისით. ამისთვის უპ

რიანია წინასაარჩევნო ვითარება 1990 წლის საქართველოში შევადართ დღევანდელ მდგომარეობას.

მოგახსენებთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არსებითად, ესაა ეროვნული ცნობიერების, ქვეყნობის ფასეულობების აღდგენის პროცესი, რომელიც დამპყრობლისა და ქვეყნის გათავისუფლების საფუძველია. ხოლო ბრძოლის სჭირდება წინამძღოლი, ომს - მხედართაგანი. ამ უზარმაზარი ტვირთის ზიდვა ძალუქს მხოლოდ ღირსებით, ნიჭით გამოჩენულ პიროვნებს - მას, ვისაც იცნობს ხალხი, ვისაც ენდობა და ვინც უყვარს. 1990 წელს საქართველოს ჰყავდა ზეიად გამსაზურდია. დღეს? ძალუქს კი დღეს ვინმეს, წამოიწყოს ბრძოლა რუსეთის საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გასარეკად? მოვიშველიებ ვაჟა-ფშაველას: ვინც ვერ ვართ "მოუღალაგნი მკლავითა", ხომ არ ვვობს, გქმნათ თუნდაც ოდენ "ბილწო არ შევეკვრი ზავითა"?

1989-90 წლებში ეროვნულმა მოძრაობამ მოიხატა მთელი საქართველო. ამის შედეგი გახლდათ მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის შინაგანი მარცხი. ამასთანავე, ქართველმა ხალხმა ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობების საკმარისობა თავისუფლების მისაღწევად. გაქრა შიშის იმპერიის წინაშე. ვითარებას ქვეყანაში, პრაქტიკულად, ეროვნული ძალები აკონტროლებდა. შეიქმნა პირობები ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვისთვის. უბრალო, საღი აზრია, რომ თავისუფლება ჯობს მონობას, ტყვეობას, პატიმრობას. ამგვარად მოხდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

განა ასეა საქმე დღეს? დღეს, როდესაც ასიათასობით ქართველი ცდილობს გადასახლება, ციხეები სავსეა პოლიტპატიმრებით, ირბევა ყოველი საჯარო გამოსვლა, საპროტესტო აქცია, მივინვარებს ძალაუფლების მიმთვისებელთა მიერ წარმოებული ტერორი. რა, ნოთუ გაქრა შიში უნტის უსასტიკესი რეპრესიების მიმართ? რა ძალა აკონ

ტროლებს ვითარებას დღევანდელ საქართველოში? მჯერა, რომ მოვა დრო, როდესაც ჩვენი მომე ჩემნი ხალხის დარად, ჩვენც შევძლებთ ვაზღვევით რუს დამპყრობლებს, მაგრამ დღეს?..

დღეს არსებული რეჟიმი ყველა საშუალებას ფლობს, რათა არჩევნების შედეგები თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს, ე.ი. არსებობს საშიშროება, რომ შედეგების გაფალების გზით მოხდეს ეროვნული დამოუკიდებლობის მოხრე ძალების არჩევნებში დამარცხების გაფორმება. ხომ არ შეუწყობს ხელს მოვლენების ამგვარი განვითარება რუსეთის მცდელობას, საქართველოში ხელი შეუწყოს დაუკანონოს თავისავე მართლმართული, ანტიქართული, ანტისახალსო რეჟიმს?

ბოლო ხანს ხშირად ისმის შეკითხვა - მაშ, რა გქნათ? ეს კითხვა მოითხოვს არა იმდენად სიტყვიერ პასუხს, რამდენადაც კონკრეტულ მოქმედებას, მაგალითს. დღეს საქართველოს ჰყავს ღირსეული შეილები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და თავგანწირვით ებრძვიან უსამართლობას, ბოროტებას. ეს ბრძოლა, ეს თავდადება პასუხიცა და მაგალითიც. საბედნიეროდ, საუკუნეების სიმორეში არ გვეჭირდება გმირობისა და თავგანწირვის ბრწყინვალე მაგალითების ძიება და ეს ქმნის ყველაზე იმედინ საფუძველს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მომავლისთვის.

ქალბატონებო და ბატონებო! ეს მიმართება ნაკარანხევა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იდეის გაფუასურების საფრთხით. იდეისა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას საყრდენს ჩვენი სამშობლოს გათავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე!

პატივისცემით, უზენაესი საბჭოს წევრი გიორგი გულბანი ჰელსინკი, 1995 წლის 1 ოქტომბერი

გაუარსდა პოლიტპატიმარების მდგომარეობა

ამის შესახებ იტყობინება საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია. 1993 წლის ნოემბერში, დაპატიმრებისას იგი დაჭრილი იყო ხელში და, უფრო მდგომარეობაში მყოფმა, დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა. ყოველგვარი მკურნალობის გარეშე, ისე, რომ ექიმს თაბაშირის დადებაც არ აცალეს, პოლიტპატიმარი გადაიყენეს თბილისის N1 ობოლტორში, სადაც მისთვის ასევე არ აღმოუჩინათ არავითარი სამედიცინო დახმარება. შედეგად, რამაზ განიშვილს ჰრილობა გაურთულდა, დაუჩირქდა და მოტეხილობის შესორცება მოხდა არასწორად. იგი დღემდე ვერ ხმარობს ხელს.

ამას გარდა, 1994 წლის ივნისში, ობოლტორში არსებული აუტანელი პირობებისა და საშინელი ანტისანიტარიის გამო, პოლიტპატიმარი დაავადდა მწვავე ფორმის ჰეპატიტით და კვლავ არ ჩატარებია არანაირი მკურნალობა, რის შედეგადაც, დაავადების რეციდივმა კიდევ ორჯერ იჩინა თავი. ამდენად, ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას მოკლებული რამაზ განიშვილი თვეების მანძილზე ვერ განიკურნა.

ამაგანდა რუსეთის გაძლიერებული რეჟიმის N1 კოლონიაში მყოფ პოლიტპატიმარს აწუხებს ხელის ძლიერი ტკივილები, გადატანილი ჰეპატიტის შედეგად, დაუავადდა ღვიძლი, აქვს გულისრევა, ძლიერი ტკივილები მუცლის არეში, უჩივის უმადობას. ამას დაერთო კუჭ-ნაწლავის გაურკვეველი ინფექციის ნიშნები.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია აუცილებლად მიიჩნევს ავადმყოფის გამოკვლევასა და სათანადო მკურნალობას, რისი საშუალებაც კოლონიის პირობებში არ არსებობს. ამიტომ, კომისია მოითხოვს პოლიტპატიმარ რამაზ განიშვილის სასწრაფო გადაყვანას სტაციონარში.

გელა განიშვილის უიმეილობა გასაიდუმლოებული იყო

“ყვარლის საქმის” ერთ-ერთმა მონაწილემ გელა განიშვილამ, რომელიც ამჟამად საპრობილეში იხდის სასჯელს, 11 სექტემბრიდან გამოაცხადა შიმშილობა. 19 სექტემბერს ე.წ. “კრიტიკა” ამანათის გადასაცემად მისულ მის შშობლებს აცნობეს, რომ მათი შვილი უკვე მერვე დღეა შიმშილობს და კარცერშია მოთავსებული. ამასთან, მათ დაუმალეს მიზეზი, რამაც აიძულა პოლიტპატიმარი მიემართა პროტესტის ამ უკიდურესი ფორმისთვის და რა მოთხოვნებს აყენებს მოშმშილე. საპრობილის უფროსმა, ბნმა კობაძემ არ ისურვა მსჯავრდებულის შშობლების მიღება.

გ. განიშვილამ უკვე მესამე წელია სასჯელს იხდის საპრობილეში “ყვარლის საქმის” მსჯავრდებულ სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, რომლებსაც გაუმკაცრეს რეჟიმი ვითომდაც ქსნის კოლონიის “გაქცევის მცდელობისთვის”.

თვახის წევრთა ცნობით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძობლად შერყეულია დასურულ ციხეში არსებული საშინელი პირობების გამო და კიდევ ერთი შიმშილობა, შესაძლებელია, მისთვის მძიმე შედეგით დამთავრდეს.

მოვიგანებით, პოლიტპატიმრის შშობლებისგან შევიტყვეთ გელა განიშვილის შიმშილობის მიზეზი: საპრობილეში იგი შეიღ კაცს უცემია. ვინ იყვნენ მოპაბლადენი - ზედამხედველები თუ პატიმრები - ჯერჯერობით უცნობია. ამჟამად გელა განიშვილამ შიმშილობა შეწყვიტა.

განონღარღვევები ნინასარჩენო პერიოდში

ა.წ. 29 მაისს პრეზიდენტობის კანდიდატის ჯუმბერ პატიაშვილის საინიციატივო ჯგუფმა გამართა პრესკონფერენცია, სადაც საუბარი იყო იმ დარღვევებზე, რომლებიც აღინიშნება წინასაარჩევნო პერიოდში. კერძოდ, ჯუმბერ პატიაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ჭაჭუამ აღინიშნა, რომ ელვარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს საარჩევნო კანონის უსაზღვროდ დარღვევებით. აღინიშნა, რომ ელვარდ შევარდნაძემ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ორმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ - სოციალისტურმა პარტიამ და მოქალაქეთა კავშირმა. ამ ორივე ორგანიზაციას პრეზიდენტობის კანდიდატისგან გააჩნია ოფიციალური დასტური, თუმცა ეს დასტური გაფორმებულია სახელმწიფოს მეთაურის ბლანკზე და ახლავს მისი ფაქსიმილიეს ქსეროასლი, რაც კანონის უსაზღვროდ დარღვევაა.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის განცხადება

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია გამოითქვამს მტკიცე პროტესტს ა.წ. 15 სექტემბერს ელვარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გამო, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების დაკანონებას. მაშინ, როდესაც რუსეთის არმიის უშუალო მოქმედებათა შედეგად ხელყოფილია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფოს მეთაურის ამგვარი ქმედება სამშობლოს ღალატის აშკარა გამოვლინებაა. ვადასტურებთ რა ჩვენს მიერ ადრე გამოხატულ პოზიციას, მოვითხოვთ: რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დაუყოვნებლივ დატოვოს საქართველო. სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალაძე

პოლიტპატიმრები ქსანში გადაიყვანეს

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე დღის წინ აჭაღის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან ქსნის ზონაში გადაიყვანეს პოლიტპატიმრები, მათ შორის, “გამსაზურდალას და მის მომხრეთა საქმის” მონაწილე თეიმურაზ კახანაძე და ანხის ამფუტეხელთა საქმისთვის მსჯავრდებული სოსო კუპრავა. მათი ქსანში გადაყვანის მიზეზები, სადაც არსებობს გაცილებით უფრო მძიმე პირობები, უცნობია.

დიზენტერიის ეპიდემია საპატიმროებში

ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ცნობით, საპატიმროებში დიზენტერიის ეპიდემია მიქნევარებას. აჭაღის კოლონიაში, კომისიის მონაცემებით, პოლიტპატიმრებს - მამუკა აფციაურს, ზურაბ გოგინაშვილს და სხვებს - დიზენტერიის აშკარა სიმპტომები ადინიშნებოდათ. რუსეთის გაძლიერებული რეჟიმის ზონაში კუჭ-ნაწლავის გაურკვეველი ინფექციური დაავადება გადაიტანეს პოლიტპატიმრებმა: ზაზა წიკლაურმა, რამაზ განიშვილმა, ივანე ლაშქარაშვილმა. ორი მათგანი, გადატანილი ინფექციის შედეგად, დღესაც მძიმე მდგომარეობაშია. ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, რომელიც განთქმულია ანტისანიტარიითა და უმძიმესი ყოფილი პირობებით, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების ნიშნები აქვს “ყვარლის საქმის” მონაწილე პოლიტპატიმრებს - გელა ხაჯურს, გოდერძი სამუნაშვილს, ლევან დარასველიძეს. კვლავ მძიმე მდგომარეობაშია “ყვარლის პროცესის” მსჯავრდებული, პოლიტპატიმარი ეზარ კობაძე, რომელიც სასჯელს იხდის საპრობილეში. როგორც ჩანს, მას აქვს ტუბერკულოზი და ღვიძლის დაავადება.

ადვოკატი პროტესტს ანხნადებს

პოლიტპატიმარ შოთა რატიანის ადვოკატმა, ბნმა მერაბ ნაგროზაშვილმა 11 სექტემბერს შეიტანა შუამდგომლობა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა ამ უკანასკნელის განთავისუფლება. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მას უარი ეთქვა, რის შემდეგაც ადვოკატმა გაავრცელა ქვემოთ მოყვანილი განცხადება.

პატიმრებულია შორის უსაფუძვლოდ არის დაკავებული უშიშროების ობოლტორში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმარი შ. რატიანი. მას ბრალად ედება პარლამენტის შენობის შეიარაღებული გზით აღების მცდელობა, შევარდნაძის დაპატიმრება, მისი ფიზიკური ღიკვიდაცია, ხელისუფლების ხელში ჩაგდება. ძიებას არავითარი მამ

ხილებელი, თუნდაც განაზრახისა, არ გააჩნია. ბრალდება წაყენებულია ზოგადი სახით და უსაფუძვლოდ. იგი დაპატიმრებულია უკანონოდ, კანონის მოთხოვნათა უსაზღვროდ დარღვევით იმის გამო, რომ არ ეთანხმება ოფიცოზის გატარებულ პოლიტიკურ კურსში. მოვითხოვ კანონის განუხრედად დაცვას და ზემოთ აღნიშნული პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ადვოკატი მერაბ ნაგროზაშვილი

«კამსაძის გამტაცებელთა» მდგომარეობა კრიტიკულია

ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის წევრები იტყობინებან, რომ საპრობილეში მყოფი კავსაძის ერთ-ერთი “გამტაცებელთაგანის” - დავით კაჭარავას ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. ქსანში სასჯელის მოსახდელად გადაგზავნილი პოლიტპატიმარი, ტრადიციის თანახმად, დაბრუნებულ იქნა საპრობილეში “გაქცევის” მცდელობისთვის. ამჟამად დ. კაჭარავას ტუბერკულოზის აშკარა ნიშნები აქვს. რაც შეეხება ამ საქმის კიდევ ერთ “მონაწილეს” - ზურაბ წირღვასს, ის უკვე მესამე წელია იმყოფება ფოთის სპეციალტორში. ძიების პერიოდში ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული შეურაცხადობის გამო, ზურაბ წირღვა დაღმდე ვერ გაასამართლეს. ინფორმაცია მოაშადა ნინო ჩენელაშვილი

სრულიად საქართველოს ზვიადის პარტიის არჩევნების ბოიკოტის წარმართვის სამოქმედო პ რ ო გ რ ა მ ა

I. ანტისაარჩევნო ბლოკის შექმნა-ეროვნული მოძრაობის ბრძოლის უმთავრესი ეტაპი.

- 1. ანტისაარჩევნო ბლოკის ეწოდოს "აღსდექ საქართველო!" ბლოკის წევრებისა და სტრუქტურის შემუშავება.
2. პეტციის დაგზავნა სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობებისადმი. ტექსტის გაერცვლება საინფორმაციო საშუალებებით.
3. ანტისაარჩევნო ბლოკის "აღსდექ საქართველო!" ხელმძღვანელი პირების შეხვედრები (ანტისაარჩევნო მისიით) საქართველოში მყოფ ყველა სახელმწიფოს ელჩებთან და გაეროს წარმომადგენლებთან.
4. ანტისაარჩევნო ბლოკის "აღსდექ საქართველო!" მიმართულებით: ქართველი ერისადმი, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი, ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი.
5. პეტციის ტექსტით შესვლა ე.შ.ე. არდნაბესთან და ანტისაარჩევნო ბლოკის არჩევნებისადმი დამოკიდებულების პირა-

- დად გაცხადება. კატეგორიული მოთხოვნა ნებაყოფლობით გადადგომის შესახებ. თანაბარი საეთერო დროს მოთხოვნა.
6. ანტისაარჩევნო ბლოკის მიერ თითო პრესკონფერენციის მოწვევა უცხოელი და ქართველი ჟურნალისტებისათვის.
7. ანტისაარჩევნო ბლოკის შესვლა ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტების ჩართვა ბოიკოტის კამპანიაში.
8. ბლოკის შესვლა საავიაციო ქარხანაში, მუდ-კაპოვლის კომბინატში, გულანის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რუსთავის ქიმიურ და მეტალურგიულ ქარხანაში, ქუთაისის ავტოქარხანაში.
9. ანტისაარჩევნო ბლოკის მიერ სექტემბრისა და ოქტომბრის ბოლოს სანქცირებული მიტინგების მოწვევა. განცხადება მერიაში შეტანილ იქნეს 20 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს. გაზეთებით გაერცვლება ცნობა განცხადების შეტანის შესახებ.
10. ოქტომბრის თვეში: რუსთავში,

მცხეთაში, კასპში, გორში, ხაშურში, ხესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიოში, აბაშაში, ხენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ბათუმში, ყვარელში, გურჯაანში... თითო სანქცირებული მიტინგის მოწვევა.
11. 5 ნოემბერს თბილისელი მოქალაქეების მიერ ბოიკოტის დაფიქსირება მოხდება 10 საათიდან რიყზე ანტისაარჩევნო ბლოკის მიერ შეთავაზებულ სპეციალური ადრინცხვის ფურცლებზე ხელმოწერით.

მოქალაქეებმა თან უნდა იქონიონ არჩევნებზე მიწვევის ბარათი და პირადობის მოწმობა. ანტისაარჩევნო ბლოკი იმოქმედებს რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში.

მინაწერი: ანტისაარჩევნო ბლოკს "აღსდექ საქართველო!", აგრეთვე გაანინა პროგრამის დახურული ნაწილი, რომლის გამოქვეყნებას სრულიად საქართველოს ზვიადის პარტია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

1995 წლის 25 ივლისი

გ ა ნ ე რ ა ლ უ რ კ რ ო კ ა შ რ ო რ ს ჯ ა მ ე ლ ი თ ბ ა ბ ი ლ ა უ შ ი ლ ს
ქ. ზუგდიდის სამხარლო კომანდანტის, უფროსი მაიორის,
ამჟამამდ სამხარლო ტყვეობაში მყოფი ბადრი ზარანდია

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

როგორც მოგეხსენებათ, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილ მოვლენებს, რომელსაც მოჰყვა უმძიმესი შედეგები და ერთდროულად კანონიერად არჩეული ხელისუფლების, უზენაესი საბჭოსა და პრეზიდენტის დაშლა, დღემდე არ მისცემია პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ. აქედან გამომდინარე, ჩემს, როგორც კანონიერი შეიარაღებული ძალების ოფიცრის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე არის უკანონო. ვინაიდან ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი ყველა სასამართლო პროცესმა ნათლად დაამტკიცა, რომ საქართველოში დღეს არავითარი სამართალი და კანონი არ არსებობს და ადგილი აქვს მხოლოდ ანგარიშსწორებას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, მე უარს ვაცხადებ ძიებისთვის ჩვენებების მიცემაზე. აქვე განცხადებ, რომ უარს ვამბობ ჩემს მიერ აღრე მცემულ ჩვენებებზე, ვინაიდან ისინი ძიების მიერ მოპოვებულ იქნა უკანონოდ - ძალადობისა და ფიზიკური ზეწოლის გზით.

სამხედრო ტყვე ბადრი ზარანდია
1.08.956.

ლარი, თეთრი და პიანო უკვლავი არიის პარტიზურა

წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოში, მართლაც, მოულოდნელობებითა და პარადოქსებით არის აღსავსე. ერთ-ერთი ასეთი პარადოქსია ფულის კუპონის შეცვლა და ეროვნული ფულის შემოღება. საერთო სტაბილიზაციისა და სიმშვიდის ფონზე არსებული ხელისუფლების მიერ გატარებული ამგვარი სახელმწიფო "რეფორმა" ხელმოწერად შექმნილ ქაოსსა და ავოტაჟს იწვევს. რითა ყოველივე ეს გაპარობებული, ალბათ, ახლო მომავალი გეიჩენებს. დღევანდელი რეალობა კი ასეთია:

მთარული ანგელოტები მაკულატურად ქცეულ კუპონზე ისტორიას ჩაბარდა. მითი მის გამაგრებაზე, ქართველი დრამატურგისა და პოლიტიკური მოღვაწის ჯვამ იოსელიანის უხამსი პაროდების თემატიკად ქცეულა, მხოლოდ საღადობოდ თუ მოაგონდება მომავალში ვინმეს. ხოლო ახლადმოვლენილ ლარი და თეთრი, არსებული რეალობის ფონზე, უკვე შავი უმორის თემად ქცეულა.

ეროვნული ფულის შემოტანა მართონეტული რეჟიმის პირობებში, მოსახლეობაში ერთგვარ უნდობლობას იწვევს, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო თთხი წლის მანძილზე არსებულ ხელისუფლებას ეროვნული და ქვეყნისთვის სასარგებლო არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. საქმეში ჩახედული ადამიანი ადვილად მისვდება, რომ ესეც ფარსია, ოღონდ უფრო საგანგებოდ მოფიქრებული და დაგეგმილი. თავიდანვე კარგად ჩანს და დროთა განსვლლობაში კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ არსებული ხელისუფლების პირობებში, ყველა მოვლენა ადრე თუ გვიან მანკიერ სახეს იღებს. "რეფორმის" პირველივე დღეები აღინშნება პატარა კუპონების დეფიციტით, მოსახლეობისთვის ფულის გადახურდაგების პროცესის არაორგანიზებულობით, ეროვნული ფულის მსყიდველობით უნარის და მისი საბაზრო ფასის შეუთავსებლობით, რაც ოთხი წლის მანძილზე საგანგებოდ დაშინებულ საზოგადოებაში მსუბუქ უკმაყოფილებას იწვევს.

მიუხედავად ამისა, ვაჭრობის პროცესი მხოლოდ ეროვნული ფულით მიმდინარეობს და დაწესებული ჯარიმებისა და ორთქიული სასჯელის შიშით, მოსახლეობაც ზედმეწივენი იცავს ამ წესს, რამეთუ კარგად უწყის, რომ დღეს მის ქვეყანაში ფულიც კი რეპრესიების საშუალებად ქცეულა.

ახალი ფულის კუპონები არაერთგვარონად გამოიყურება. თეთრის თვალისმომხრელ მინერებას ვერაერთ შეედრება ლარის უსახური კუპონები, რომლებზეც სხვა დიდ ქართველ მოღვაწეთა გვერდით გამოსახულნი არიან წმინდანები. ამ მკრეხელურ ფაქტს ეკლესიის მეთაური ჩვეული გულგრილობით უყურებს და, რასაკვირველა, დუმს.

განსაკუთრებით თიბოზურად გამოიყურება ლარზე გამოსახული დიდ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები, რომლებიც უფრო მეტობრულ შარვეს ჰგავს და ეროვნულ ფულს იმედნად პაროდულ იერს აძლევს, რომ უნებურად "ფლირტის" სათამაშო ბარათები გაგახსენდება.

ასეა თუ ისე, ახალ ეროვნულ ფულს საზოგადოება არაერთგვარონად აღიქვამს. ერთი მას იმედინად უყურებენ, მეორე, უფრო დიდი და გამწარებული ნაწილი ფიქრობს, რომ არსებულ ხელისუფლებას ხალხისა და ქვეყნისთვის აქამდე არაფერი გაუკეთებია და არც ახლა გაუწყრება ღმერთი.

ამგვარ მსჯელობასა და კამათში შემოდის და მკვიდრდება ეროვნული ფული, რომელიც საკუთარი მომავლისა და ბედის თაობაზე თვითონვე გვაძლევს ამოწურვავ პასუხს. ორღარიან კუპონარზე ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტის გვერდით შეამწივეთ ვერიადა დაბეჭდილ ნოტებს. ეს განხლეთ კაზოს ცნობილი არაა "თაო ჩემო, ბედი არ გიწერია" და იღვბალი პასუხი იმაზე, რაც დღეს ყველას ასე ადვლევებს.

ქ.ქ.

TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) N21 (1995) in brief

Appeal to the Georgian Nation

The Act of Restoration of Independence of the Republic of Georgia declared by the Supreme Council of the Republic of Georgia as the manifestation of the will of Georgia nation opened the new era in the process of Georgian statehood building. The fact that Georgia was recognized to be the subject of the International Law and was stated as a juridically independent country can be ascribed to the merit of the authorities which were elected following the truly democratic principle. Unfortunately, Georgia failed to become factually independent and presently is the object of the new occupation and creeping annexation since the limited war aimed at destroying of Georgian statehood continues since 1991 with the active support of renegade Georgians.

Struggle of the Georgian nation against the pro-imperial forces testifies to the fact that people will never surrender to the reigning of the occupational regime which came to power as a result of blood shedding coup inspired by Russia, and will never reconcile with a false independence and permanent presence of Russian military bases in Georgia.

I welcome the policy of boycotting elections staged by the violators since under the factual political regime democratic elections are absolutely impossible. Participation in Shevardnadze's electoral fox-trot is equal to high treason since participation in these elections means reco-

gnition of the unlawful authorities as well as unlawful procedure of entering Georgia into The Commonwealth of Independent Republics and dislocation of Russian Troops in Georgia. It goes without saying that odious figures condemning the Lord, their nation and country, who had finished with the independence of Georgia and are driving the country to the verge of disaster deserve to be boycotted as Captain Charles Boycott was once boycotted by people.

I would like to remind the enemies of Georgian nation who had chased out the lawful Parliament of Georgia with the force of arms into exile though having failed to defeat it, that military coup of January 1992 did not terminate the de jure existence of the only legitimate democratically elected authorities, the Supreme Council of the Republic of Georgia on the whole territory of Georgia.

In accordance with any juridical and moral laws, the activities of the Supreme Council of Georgia continue until the conditions required for free, democratic elections are created in truly independent Georgia free of military forces of foreign country.

The Supreme Council of Georgia is lawful according to the Law!

The Supreme Council of the Republic of Georgia will be always faithful to the national interests, ideals of freedom and democracy!

Let me congratulate you with the festival of Svetitskhoveli Cathedral. Remember, Georgian nation will gain its freedom just as the life-giving pillar gained its

place with the prayers and blessings of St. Nino

Prince Bidzina Cholokashvili Temporary Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia October 1, 1995

Violations of the Law in the Pre-Elective Period

On May 29, 1995 the initiative group of the candidate for the p[re]sidence Jumber Patiashvili hold a press-conference devoted to those violations of the Law which were observed in pre-elective period. Namely, the head of Jumber Patiashvili's pre-elective campaign noted that pre-elective campaign of Eduard Shevardnadze proceeds with rough violation of Elections Law. It was stated, that Eduard Shevardnadze was nominated as a candidate for presidency by the two political organizations: Socialist Party and Citizens' Union and both these organizations have the official confirmed consent of the candidate for the presidency though this consent is written on the official blank of the Head of the State and is attached by Xerox copy of facsimile, which is a rough violation of the Law.

The fact that Elections Commission without any obstacles accepted 70 000 signatures presented to the Commission by the leader of Socialist Party Vakhtang Rchelishvili after the dead line for presentation of such signatures, which is also the violation of the Law was stressed, especially as the deputy Eldar Shengelaia is appointed as a representative of Eduard Shevardnadze in the Election Commission.

At the press-conference it was noted that the principle of publicity was also violated when the Administration of the Election Commission occupied the former room of Jaba Ioseliani in the building of the Parliament where nobody is allowed without a special permit which makes the access to the Commission as difficult as meeting with the Head of the State and

the people are actually drawn away from the Elections Commission and the course of its activities.

Another Victim of the Justice

Political Prisoner Nugzar Abramishvili Died in the Process of Court Hearing.

Nugzar Abramishvili, 46 years old, Education - Technical School, Invalid of the I group, Has a wife and two sons.

Nugzar Abramishvili was arrested on June 17, 1994, by the members of Security Service as an organizer, direct executor and producer of the explosive materials used during terrorist actions directed to explosion of the high-voltage lines. He was charged in accordance with Article 69 of the Criminal Code of Georgia (diversion) and Article 238 (carrying, keeping, transporting and reparation of the weapons). Within the whole period of preliminary investigation the political prisoner was kept in the KGB Isolator and had a public lawyer. He was transferred to the investigation isolator only by the time of beginning of the Court hearing. N. Abramishvili became invalid as a result of the occupational injury in 1976 - chemical substance which accidentally was splashed on his face caused nearly complete blindness. Due to this corporal defect the Security Service investigator according to the Law appointed a confidential person to him who turned to be the employee of KGB, a lady whom the prisoner had never known before. In accordance with the Law, the suspect should not only be acquainted with the confidential person, but he should trust him as well. The lady appointed by the investigation "helped" to compile and read the testimonies of N. Abramishvili. As it turned out during the Court hearing the political prisoner has not written any testimony himself. According to his very statement he was given some papers to sign without even reading them to him and his "confessions" were made under the continuous beating and psychological

pressure.

The family of political prisoner managed to hire the lawyer desirable for him only by the beginning of the Court hearing. The Chairman of the Court Board, was Juri Keshelashvili who had accumulated a riche "experience" in political processes and was considered as an unsurpassed master of "Zviadists" Cases, as a hero of "Kvareli" and Otkhozoria-Shurgaia trials, while Nugzar Bezhitashvili who was also well-known from the trials of Nemo Chanturia and Bardziamashvili-Kochlamazashvili served as a State Prosecutor. During the Court investigation N. Abramishvili denied all charges brought against him. He stated that he was not even acquainted with those who had not exploded high-voltage lines. The convicts Kuprava, Gugunishvili, Gviniashvili, Sulava who were brought as witnesses confessed that they did not have any criminal relations with Abramishvili.

Ten days after beginning of the Court hearing, on September 15, the Prosecutor demanded 15 year imprisonment for the political prisoner with serving his term in the colony of strict regime and called this sentence excessively mild. And on Monday, that is on September 18, the family members and the lawyers were informed that the Court hearing was canceled due to the sudden death of the prisoner. Court Board published the death certificate saying that Abramishvili died at 3 a.m. on September 17, 1995 from heart failure (!)

For some reasons unknown the members of the family were given the corpse in zinc coffin and were informed that at autopsy "no signs of infarction or hemorrhages or bruises" had been found. The wife also learned that in the moment of his death the patient was alone, though as the members of the family of the political prisoner knew from him he was placed in the cell for 20 prisoners housing 40 prisoners.

Quite a lot of things about the death of Nugzar Abramishvili remain very obscure and suspicious.